№ 246

კვირა, 14 ნოემბერი, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

№ 246

კვირა, 14 ნოემბერი, 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაგარეგლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## ი ყ ი დ ე ბ ა

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიასა და „ივერიის" რედაქციაში

## „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი",

წერილი ილია ჭავჭავაძისა, **მეორედ** გამოცემული „ივერიის" რედაქციის მიერ, რადგან პირველი გამოცემა სრულიად გაიყიდა.
ეს გამოცემა ძვირფასს ქაღალდზეა დაბეჭდილი. ჰღირს წიგნი ექვს შაურად.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჯიჯინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**დ. კ. ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^1/_2$—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**იაგ. ქ. ადამიანი**—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—$12^1/_2$—$1^1/_2$ სადოსტაქრო.

**ი. დ. გეგთაგეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**ქ. ი. გძელიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაჩაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ზ. გურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ზ. ა. ნავასარდიანი.** 7—$7^1/_2$ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ).

## ე ქ ი მ ი
## კ. ს. გძელიშვილი

მ ი ი ღ ე ბ ს

ყელისა, ცხვირისა და ყურით

ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки.

(100—31—77)

## კბილის ექიმი
## ს. გ. სოლოლაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-დგან 2-მდე და ნაშუადღევის 5-დგან 7-მდე.

მიხეილის ქუჩა № 32. (10—უ.—11)

## ახალი ამბავი

*** კიევისა და გალიციის მიტროპოლიტის მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესის იოანნიკის 50 წლის იუბილეის გამო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" გამგეობამ იუბილიარს ადრესი გაუგზავნა. ამ ადრესის პასუხად ხსენებულ საზოგადოების თავმჯდომარემ თავ. ი. გ. ჭავჭავაძემ შემდეგი დეპეშა მიიღო იუბილიარისაგან: „გულითად მადლობას ვუძღვნი თქვენს ბრწყინვალებას ჩემის კეთილის ხსენებისა და გულ წრფელის მოლოცვისათვის. ლოცვა-კურთხევა უფლისა იყავნ სიმპატიურ საზოგადოების მოქმედებაზედ. მიტროპოლიტი იოანნიკე".

*** ბაქოს ოლქის სასამართლოს წევრად, როგორც ისმის, ინიშნება ერევნის ოლქის სასამართლოს წევრი კ. თ. ბაქრაძე.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს განსახილველად წარედგინა საყურადღებო საქმე ახალციხის მოქალაქის შაბათა მიწაჭამიაშვილისა, რომელსაც ცოლის მოკვლის განზრახვა ჰბრალდება.

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა რუსულის ენის შინაურის მასწავლებლის მოწმობა მისცა ქ-ნს ვ. ვ. ყიფიანს.

*** რადგან კერძო შეშის საწყობთა პატრონები ზომაში ატყუებენ მყიდველთ, ამის გამო ტფილისის პოლიცმეისტერმა წინადადება მისცა ბოქაულებს, შეამოწმეთ გასასყიდ შეშის ზომა და, თუ უწესოება რამ აღმოაჩინოთ, ოქმები შეადგინეთ და დამნაშავენი პასუხის გებაში მიეცითო.

*** გზათა სამინისტრო 2,500,000 მანეთს თხოულობს ერევნის რკინის გზის გასაყვანად.

*** მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულმა ტ. ს. მედვედიევმა ცნობები მოითხოვა საიანადო დაწესებულებათაგან იმ თხოვნებისა და საჩივრების გამო, რომელნიც მიწად-მოქმედების მინისტრს ერმოლოვს წა·

## ფელეტონი

### პიროვნება ჩვენში

(დასასრული *)

„მოყვარეს პირში უძრახე"...

ამ ნაირი ხასიათი დიდი ხანია დასჩემდა ბ-ნს აკაკის. ეს არის რთული შედეგი მისის წარსულისა, იმ ატმოსფერასი, რომელიც, საუბედუროდ, ტრიალებდა და ტრიალებს ჩვენში.

კიდევ ვიტყვი, ჩვენში მარტო წერას არ შეუძლიან ჩვენი ხსნა. ზნეობით, შინაურის განხეთქილების წყალობით იქამდე დავეცით, რომ ვერ გვიშველის ვერავითარი ლექსები, თუნდაც მეტად ნიჭიერადაც იყოს დაწერილი. ეხლა უფრო, ვიდრე ოდესმე, საჭიროა ზნეობრივი გავლენა, პირდაპირ საქმით და კარგის საქციელით მოქმედება ჩვენს საზოგადოებაში. ჩვენმა მოღვაწემ, რა მცირე ხარისხისაც უნდა იყოს მისი მოღვაწეობა, კარგად უნდა იცოდეს ჯერ ის, რომ ჩვენ ისე ცოტანი ვართ რიცხვით და ისე პატარა სივრცეზედ მოთავსებულნი, რომ კარგად ვიცნობთ ერთმანეთს; რადგან ჩვენში ბოროტი ძალა ჰმეტობს, რადგან ხშირად შეგნებულიც, მაგრამ სუსტის ხასიათისა, ჩაუთრევია ამ ძალას, ჩვენი ეგრეთ წოდებულნი მოღვაწენი მეტადრე მესამოცე წლებისანი, რომელთა ქება-დიდებამ ლამის ყური გამოგვიჭედოს, უფრო სპეტაკნი უნდა იყვნენ, გულით მტკიცენი და იმათი მოქმედება აშკარა და სამართლიანი უნდა იყოს. კიდეც ამისათვის ყოველი მოღვაწე ყოველგვარ მოვლენას ჩვენის ცხოვრებისას უნდა ასწონ-დასწონავდეს კრიტიკულის თვალით, მაგრამ მისი სული და გული იქითკენ უნდა მიისწრაფვოდეს, საითკენაც ცოტაოდენი გარდამეტებული სინათლე და სიმართლეა. ბავშვური შეუგნებლობა და დაჟინებაა „არც ის მომწონს არც ესაო"... შედარებით ბედნიერება, კარგი უცბად არ იბადება ცხოვრებაში. ეს შესაძლოა იქ, სადაც საზოგადოება შეგნებულია და მოღვაწენიც გულწრფელნი არიან. იმისთანა საზოგადოებაში კი, როგორიც არის, მაგალითად, ჩვენი, სადაც ჯერ კიდევ ხაოსია, არეულობა და უთანხმოება, კარგამდე მიღწევა ადვილი როდია. მაგრამ როდესაც ორი მოწინააღმდეგე ძალაა და ერთს იმათგანში გამოსჭვივის ცოტაოდენი მაინც რამ კარგი, ამ კარგს უნდა სტაცოს ხელი ყოველმა რიგიანმა მოღვაწემ, თუნდ მეორე მხარემ საძილიც ბევრი გაუმართოს და აუარებელს სიმდიდრესაც დაჰპირდეს. ამ ნაირის მოქმედებით თითონვე მიაღწევს იმ კარგამდის, რომელიც სასურველია. ასეთს მოქმედებაში იმყოფება პროგრესი-წინსვლა.

ამ მხრივ რომ გავზომოთ ბ-ნ აკაკის მოქმედება, მართლა მწუხარების მომგვრელია. გაუგებარია ბ-ნი აკაკის მიერ „არც ის მომწონს, არც ესაო"-ს ძახილი და ამავე დროს უფრო კეთილის მიმართულების მივიწყება. ყური რომ დაუგდოს იმის გოდებას, მართლა იფიქრებს კაცი, რომ ძლიერ შესტკივა გულიო. აი, ეს გამოურკვეველი ხასიათი ჩვენი პოეტისა, ღრმა რწმენისა, მტკიცე ნებისა და გულწრფელობის ნაკლულევანება დაეტყო ძლიერ მისს ნაწერებსა და მოქმედებას. ეს გარემოებაა მიზეზი, რომ ხშირად გესმის ბ-ნ აკაკის გოდება, ვერ დამაფასესო; ან სწუწუნებს, როდესაც „ვეფხის-ტყაოსანს" არ ჩევს და თ. ილია ჭავჭავაძეს ეკამათება, იგივე ისმის ამ წლის „კრებულის" მე-VI ნომერში და სხ. არც უნდა უკვირდეს ბ-ნ აკაკის, თუ იმისი ნაწარმოები და მოქმედება ვერ გაუგიათ. ამისი მიზეზი ის არის, რომ ბ-ნი აკაკი გულწრფელი არ არის და ღრმა რწმენა არ მოეპოვება, ის ღრმა რწმენა, რომელიც მუდმივის ფიქრისა და მეცნიერულად განათლების შედეგია.

დღეს სხვა დროა. რამდენი მოხერხებული ლექსიც უნდა დასწეროს ბ-ნმა აკაკიმ, ეს ლექსები ვერ აცხოვნებს ჩვენს საზოგადოებას. მარტო ლექსებს რომ შესძლებოდა საქმის გასწორება, ჩვენი საზოგადოების მისწრაფება დღეს ისე გამოურკვეველი არ იქნებოდა. მაშასადამე, ჩვენის საზოგადოებისათვის მწერლობაზედ არა ნაკლებ საჭირო ყოფილა პირდაპირი, პირუთვნელი მოღვაწეობა, გარკვეული აზროვნება და ამ აზროვნებასთან შეთანხმებული მოქმედება, პირდაპირ ზნეობრივად გავლენა საზოგადოებაზედ. დღეს მარტო ბულბულის სტვენა როდი დაგვატკბობს.

ჩვენში დიდად ნიჭიერი პოეტი ყოველ ამ საზოგადოებრივ თვისებას, საზოგადოებრივს ინსტინქტს მოკლებულია, რაც, როგორც ვთქვით, რთულ მიზეზთა შედეგია. რაკი ბ-ნი აკაკი ინსტიქტიურად ჰგრძნობს თავისის ხასიათის სისუსტეს, ხშირად მოედება ხოლმე სულ უსაფუძვლოდ სხვა-და-სხვა მიზეზებს. მაგალითად, მოხუცებულობის გამო დრტვინვა და ჩივილი თვალსაჩინო მოტივია ბ-ნ აკაკის პოეზიისა, მისი უკპილო პუბლიცისტიკისაც-კი. აი ნიმუში ამ საჩივრისა, ბ-ნ აკაკის უშინაარსო პუბლიცისტიკიდგან აღებული: „განა მე კი არ მინდა, რომ ისევ ისე ძველებურათ, ჩემებურათ, ვტრიალებდე? ბ. ჩიკვაიძის სიცოცხლით სავსე მოძრაობას და ენერგიას რომ ვუყურებ, გული მწყდება! ბ. თავდგირიძეს პატიოსნური მღელვარება მეხარბება! მაგრამ რა ვქნა? ვიცი, რომ ველარავინ დამიბრუნებს სიჭაბუკესა და სიმრთელეს". ბ-ნი აკაკი იქამდე დაბეჩავდა, იქამდე გაუქრა იდეალებისაკენ მისწრაფება, რომ იგი ეტრფის ბ-ნ ჩიკვაიძის ცხოველურს მიდრეკილებას საზოგადო სუფრისაკენ. ეტყობა, რომ დღეს პოე-

*) იხ. „ივერია" № 238.

რუდგინეს მისის კავკასიაში ყოფნის დროს.

*** სათანადო დაწესებულება შეუდგა ამიერ-კავკასიაში მომავალის სამის წლისათვის (1901 წლიდგან) საკომლო გარდასახადთა გაწერას.

*** მომავალ კვირას ტფილისის საგუბერნიო გამგეობაში სხდომა მოხდება საადგილ-მამულო გარდასახადთა გასაწერად იმათზედ, ვინც საკომლო გარდასახადს არ იხდის ტფილისის გუბერნიაში.

*** „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ შუამდგომლობა აღძრა თელავის მაზრის სოფ. შინდაში სახალხო წიგნთ-საცავის დაარსების შესახებ.

*** დღეისათვის, 14 ნოემბერს, ქ. ქუთაისში წარმოსადგენად დანიშნულია აკაკის დრამა „თამარ-ცბიერი“. თამარის როლს აასრულებს ქ-ნი ქ. ანდრონიკაშვილისა, რომელიც ეს რვა წელიწადია აღარ გამოსულა ქართულ სცენაზედ.

*** პეტერბურგიდგან „ტფ. ფ.“-ს აუწყებენ, რომ გზათა სამინისტრომ გარდასწყვიტა გაგრძელებულ იქმნას ჭიათურის ვიწრო-ლიანდაგიანი რკინის გზა კიდევ 12 ვერსზედ შავი ქვის წარმოების გასაძლიერებლად.

*** რადგან საქონლის ფასმა შესამჩნევად აიწია, ამის გამო განზრახულია მომატებულ იქმნას ნიხრი გირვანქა ძროხის ხორცზედ $7^1/_2$ კაპიკამდე და გირვანქა ცხვრის ხორცზედ 9 კაპ.; ამასთან დაწესდეს ნიხრი გირვანქა კამეჩის ხორცზედ $4^1/_2$ კაპ. და ღორისაზედ 9 კაპ., 7 კ. და 5 კ.

*** ამ ბოლო დროს ტფილისში გაძვირდა შეშა, რის მიზეზი, სხვათა შორის, ის არის, რომ რკინის გზით ნაკლებად შემოაქვთ იგი. ყველა შეშის ვაჭრები სჩივიან ვაგონების სიცოტავეს.

*** არ იქნა და არა, ჭიათურაში ლოთობა და ხანჯალის ტრიალი არ მოისპო. წინანდებურად ზოგიერთი ხანჯლოსნები დასხდებიან ხოლმე დუქნებში და იქამდისა სმენ, ვიდრე ღვინით დარეტიანებულნი ერთმანეთს არ დაერევიან. წასრულს კვირაში ასეთ ჩხუბის დროს, მაგალითად, მძიმედ დასჭრესსოფ. სავანეს მცხოვრები დ. ქ—ძე და სოფელ მერჯევის მცხოვრები მ—ძე.

*** გუშინ, 13 ნოემბერს, ქალაქის სამკურნალო-სასანიტარო ინსპექტორმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, ერთის კვირით შესწყვიტეთ სწავლა მ. დავითის საქალაქო სასწავლებელში, რადგან ამ უკანასკნელს რამდენსამე დღეში 10 ბავშვი გახდა ამ სასწავლებლის მოსწავლე ავად ქეცითაო. ეს თხოვნა სასწავლებელთა კომისიას გარდაეცა იმავე დღეს.

*** 13 ნოემბერს ხმოსანმა თავ. ნ. ზ. თუმანოვმა ქალაქის გამგეობას თავისი განცხადება გარდასცა, რომელშიაც ამბობს, რომ საბჭომ უკანასკნელს სხდომაზედ დაადგინა თავისი მიწერ-მოწერა დასაფასებელ უწყებებში მომხდარ სიყალბის შესახებ საგუბერნიო მთავრობას წარუდგინოსო. ეს დადგენილება სრულიად ეთანხმება ჩემს სურვილს, რომელიც გამგეობასაც განვუცხადე და რომლითაცა ვთხოვე, რომ ყოველივე ამ ამბის გარემოება სასამართლოს მიერ უნდა იქმნას გამოძიებულიო. შემდეგ იგი სწერს, რომ საბჭომ, იმისდა მიუხედავად, რომ ამას ზოგიერთნი ხმოსნები თხოულობდნენ, არ ისურვა და არ მოისმინა ის განმარტება, რომელიც მე წარვუდგინე გამგეობას და რომელიც გამოარკვევდა საქმეთა ჭეშმარიტს ვითარებასაო, აგრეთვე გამოაშკარავებდა იმ უსწორ-მასწორობას, რომელიც გამგეობის წევრთა გამოძიებაშია აღნიშნულიო. ასეთი საქციელი ჩემდა მომართ ჩემის ამხანაგების მხრივ უსამართლოდ მიმაჩნია და ამიტომ შესაძლებელად არა ვთვლი ხმოსნადვე დავრჩე იმ დროს განმავლობაში, ვიდრე საქმე სასამართლოს მიერ არ გამოირკვევაო.

*** სად. შორაპანი. ქურდ-ბაცაცები აქეთ ძალიან მალ-მალ იჩენენ ხოლმე თავს. საკმაოა მგზავრმა წას თვლიმოს, რომ ქურდ-ბაცაცებმა სულ-ხორციანად გაძარცონ. არა ერთი და ორი მაგალითი მოხდარა ამ სადგურზე მგზავრების გაქურდვისა, ამ დღეებში ქ—ს აალელეს ფუთაში გაკრული რუსული წიგნები, ღირებული 4 მან. და ხუთიც ნივთები.

*** სოფ. ხორში, (ზუგდიდის მაზრა). ამას წინად სოფ. ხორშში ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა. ამ სოფლის მცხოვრებს მურზაყან ფაჩულიას ცეცხლში დაეწვა ყოველივე მისი ავლა-დიდება. თითონ ოჯახის პატრონი თავისის ცოლით ყანაში ყოფილა. შუა დღეზედ ისლით დახურულს სამზარეულო სახლს გასჩენია ცეცხლი, შემდეგ გადასულა ოდაზედ და იქიდგან სასიმინდეზედ. დაიწვა ერთი კარგი სახლი თავისის მოწყობილობით, სამზარეულო და სასიმინდე, რომელშიაც ასს ფუთზედ მეტი სიმინდი ყოფილა. მეზობლებს ცეცხლის გაჩენა გვიან გაუგიათ და ვერაფერი უშველიათ. ზარალი თითქმის ასს თუმანს აღემატება. საწყალი უსახლკარო ფაჩულია თავისის ცოლ-შვილით მეზობლებს აფარებს თავს.

ამ სოფელში საშინლად მოიდგა ფეხი კისერამ. კვირა არ გაივლის, რომ ორი-სამი ბავშვი არ იმსხვერპლოს. ხშირად ერთს ოჯახში ორი-სამი ბავშვი კვდება ამ სენით. ჭირნახულის მოსავალი წლეულს ჩვენსკენ კარგი იყო, უფრო-კი სიმინდისა.

*** სოფ. დურევი, (შორაპნის მაზრა). ამ სოფელში ამას წინად შემდეგი უბედურება მოხდა. დურევის მთა აზ. ა—ძისა და ჯ—ძის საკუთრებას შეადგენს. ვისაც ეს მთა ეახლოვება, ღირებულს ფასად ხე-ტყესა და შეშას იქიდამ ეზიდება. წარსულ თვის ბოლო რიცხვებში ძმათა ხარშილაძეებს იმ მთაში შეშა ეყიდნათ და ურმებით ეზიდებოდნენ. შეხვედრიათ ერთი მთის მესაკუთრეთაგანი ჭ. ა—ძე, რომელსაც შეშის ფასი მოუთხოვნია, გლეხებს უთქვამთ, რომ ვისგანაც შეშა ვიყიდეთ, ფასიც იმას მივეცითო. ეს არ დაუჯერებია ა—ძეს, მოსვლიათ ჩხუბი და ხ—ძეებს ა—ძე და ერთი მისი მსახური ხანჯლითა და ცულებით ისე მძიმედ დაუჭრიათ, რომ საეჭვოა მათი მორჩენა.

*** დ. საჩხერე. ჩვენკენ ბქამდის კარგი ამინდები იყო. სოფლებში ბევრგან პურის თესვა კიდეც გაათავეს. ხალხი ზამთრის მოლოდინში ეხლა შეშას ეზიდება. ზოგგან სოფლებში ციება და სხვა გადამდები ავადმყოფობაა, რის გამოც წრეულს სიკვდილი ხშირია. მეტად შეწუხებულია უმრავლესობა წლევანდელის ჭირნახულის მოუსავლობით, ასე რომ ძლივს გაჭირვებით ზამთარში თუ გაიკვებავს თავს, შემდეგისთვის-კი არ იცის, რა ჰქნას!..

*** ს. ნაზათი-ქრისტიანი, (კავკავის მაზრა). ღვინობისთვე ძლიერ ქინქლიანი დაუდგა და მთებიც ჩამოგვითოვა. მთელი თვე თითქმის ასე ქინქლით გასტანა, რამაც სიმინდის მტრევას შეუშალა ხელი.

რაც სოფელს ხუმელავაში და ნიკოლაევკას სტანიცაში ქურდი ქისტები დაჰხოცეს, მას აქეთ ქურდობა-ავაზაკობა რამოდენადმე შესწყდა აქეთ, მაგრამ ხანდახან კიდევ არ გვასვენებენ ხოლმე. მაგალითად, ნებითი ქრისტიანის მინდორში სიმინდის მტრეველებს—ერთს მოხუცს და ერთს ბიჭს მიუცვივდენ ავაზაკები და დასტაცეს: ექვსი ხარი, სამი ცხენი, ორლულიანი თოფი, რევოლვერი და ტანისამოსი და გაუდგნენ გზას. საბრალო ბიჭმა მორთო ყვირილი და მისდია ქურდებს თუღანანთ სოფლამდე. ამ სოფლიდგან სა ჩქაროდ გამოვიდნენ სოფლის დარაჯები და გამოუდგნენ ქურდებს. ასტყდა სროლა ქურდებსა და დარაჯებს შორის. ერთი დარაჯი დაიჭრა მძიმედ; შემდეგ ქურდებს, როგორც იყო ექვსი ხარი დაატოვებინეს, ცხენები და აღეჯი კი გაიტაცეს.

28 ღვინობისთვეს, თვით-ნებითი ქრისტიანის სოფელში ქურდობის დროს ღამე დაიჭირეს სოფლის დარაჯებმა სოფელ ყადგანორელი სამი ოსი. პირველ გიორგობისთვეს სოფელმა ყრილობა მოახდინა დაჭერილი ქურდების შესახებ. ისე იყო აღელვებული სოფელი, რომ პირდაპირ თხოულობდნენ თავიანთ ხელით ქურდების დასჯას, მაგრამ ამ სოფლის მამასახლისმა სოფელი როგორც იყო დაამშვიდა.

*** ს. ქვემო-თეკლათი, (სენაკის მაზრა). წელს საზოგადოდ მთელის თეკლათის საზოგადოებაში კარგი მოსავალი იყო ჭირნახულისა. ღვინის მოსავალი-კი სათქმელადაც არა ჰღირს რაც დააყენეს, ისიც მჟავე და უგემური გამოდგა, თეკლათის საზოგადოებაში მაინც მუდამ ბუნებითი მდარე „ოდესის“ ღვინო მოდის, მაგრამ წლეულს წარსულ წლებზედ უფრო ნაკლები დადგა. თითქმის ორი წელიწადი იქნება, რაც თეკლათის საზოგადოებაში მაწის მზომავი კომისია ჰმუშაობს. ეს კომისია თავისს მინდობილს საქმეს რიგიანად და პირნათლად ასრულებს, მაგრამ კიდევ წელიწადზედ მეტს დარჩება აქ გასამიჯნი მამულები ეკუთვნის თავ. მხეიძეებს, ზოგიერთ აზნაურებს და გლეხობას. შემოდგომა აქეთ კარგის დარებით გვშორდება. ჯერჯერობით სიცივეები არ გვინახავს.

*** სოფ. მახჩისკა მთა, (კავკავის მაზრა). მთაში ქურდობა ძლიერ იშვიათი მოვლენა იყო ხოლმე აქამდე მაგრამ ეხლა აქ ნელ-ნელა შემოგვეჩვივნენ ქურდები. მაგალითებრ ამ სოფელში მცხოვრებს ოსს ზოდკოვნიკს 24 ღვინობისთვეს ორი ინგლისურ ჯიშის ცხენი მოჰპარეს და მათი ასავალ-დასავალი ვერავინ გაიგო. ოქტომბრის გასულ რიცხვებში სოფელ სტირდიგორშიაც დაიპარეს ცხენები და ხარები.

*** სოფ. არდონი, (კავკავის მაზრა). ამ სოფელში ყელ-ჭირვება და წითელა მეტად გავრცელებულია და დიდს ზარალსაც აძლევს ბავშვებს.

*** დაჭრილ ბურთა სასარგებლოდ შეუწირავთ: თავ. გ. ნ. ვეზირიშვილს 5 მან., გ. ი. ჯავახიშვილს—1 მ., პ. ნ. ჯავახიშვილს—1 მ., ე. ნ. ჯავახიშვილს—1 მან., თავადის ქალს ე. გ. ჯავახიშვილს—1 მ.,

---

ტის იდეალი ი-ნ ჩიკვაიძის სამოსელში გახვეულა და თითქოს ამითი კმაყოფილი არის. აბა რა სახარბიელოა შეგნებულის ადამიანისათვის ის, თუნდაც სიცოცხლით სავსე, მოძრაობა და მხნეობა, რომელიც მარტო არეულობის შემქნელია. ამ გვარმა სიცოცხლით სავსე მოძრაობამ და მხნეობამ, რომელიც ტყუილა უბრალოდ იხარჯება ლუკმა პურისათვის, რის შოვნაც არც ისე ძნელია დღეს, სხვა მხრივაც ბ-ნ ჩიკვაიძესა და სხვებისათვისაც სრულიად არ უნდა გამოიწვიოს შეგნებულ ადამიანისაგან იმ გვარი ადამიანი-პატივისცემა და თანაგრძნობა, როს მელსაც მხოლოდ საკუთარი ინტერესი აქვს სახეში. პირ-იქით, ამდენის მხნეობის ხარჯვა მხოლოდ შფოთისათვის პატიოსან ადამიანის ზიზღსა და მწუხარებას უნდა გამოიწვევდეს იმის გამო, რომ ჩვენში, ჩვენდა საუბედუროდ, დიდი შრომა და მხნეობა გამხეცებულ თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად იხარჯება, თუნდაც ამ ხარჯს საერო დაწესებულების დაქცევაც მოჰყვეს. მხნეობის უმნიშვნელოდ ხარჯვა ყოველ შეგნებულს კაცს მწარე ფიქრს უნდა მოჰგვრიდეს, რადგან ის ძალა, რომელიც ჩვენში იხარჯება ბოროტ-მოქმედებისთვის, ადვილად მიგვიყვანდა შედარებით უფრო ბედნიერ ცხოვრებამდე, სინიდისიანად და გონივრულად რომ მოგვეხმარებინა.

აკაკისებურ პოეტისათვის ეს სულერთია. იმას არ აქვს შემუშავებული ღრმა რწმენა, არ აქვს სიმტკიცე ნებისა და არც ესმის საზოგადოებრივ იდეალის მნიშვნელობა. იმისს ლექსებში გატარებული ზოგადი აზრები ისე დაძველებულია, ისე სადაა, რომ მასვე იმეორებენ დღევანდელი ჩვენი ნორჩი პოეტები, რომლებმაც, მათდა და ჩვენდა საუბედუროდ, სწავლა-განათლებისა არა იციან-რა. ვიტყვი მოკლედ, რამდენადაც ბ-ნი აკაკი მდაბიურ და ლამაზ ხალხურ ენის შემქმნელია, იმდენად ის საზოგადოებრივის იდეალიც, რწმენითა და განვითარებით ღარიბია. ღარიბი ხარბია თორემ რად უნდა ეხარბებოდეს ბ-ნს აკაკის რამე ჩიკვაიძისა, თუნდა ბ-ნ ნ. თავდგირიძისა. განა შეიძლება მოხუცებულს პატიოსნური მღელვარება მოაკლდეს, თუ მოხუცებული ოდესმე მაინც გამსჭვალული ყოფილა და რწმენის სიმტკიცით? ჩვენ გვგონია, რომ არა. გლადსტონი გლადსტონად დარჩა, გეტე გეტედ, თუმცა ღრმა მოხუცებულებას მიაღწიეს. მართალია პირველი ნაწილი ფაუსტისა განსხვავდება მეორე ნაწილისაგან, რომელიც გეტემ მხოლოდ 82 წლისამ დაამთავრა, მაგრამ ეს განსხვავება აზროვნობისა და ღრმა რწმენის შესუსტების მაჩვენებელი როდია. ჩვენი სასახელო მღვდელთ-მთავარი გაბრიელი 70-დე მტკიცედ ადგა თავის რწმენას, ვიდრე მუდმივმა შრომამ და უსიამოვნო ცხოვრებამ სისხლი არ გაუშრო. არ ვიცით მაგალითი არც ჩვენსა და არც ევროპის ლიტერატურაში, რომ 50—60 წლის მოღვაწეს, ან ლიტერატორს სიმხნევე და თვით-მოქმედებითი ძალა საგრძნობლად მოჰკლებოდეს. განვითარებული კაცი, რომელიც მუდამ ავარჯიშებს გონებას ღრმა მოხუცებულებამდე მხნე და გონიერი იქმნება. მტკიცე რწმენა ყოველთვის აღმაფრთოვანებელია ადამიანისა და იმას ღრმა მოხუცებულებაც ვერ შეარყევს. ამის გამო ხშირად უაზრო და უნიჭო ჭაბუკი უდროვოდ მოხუცებულია და მოხუცებული ნიჭით სავსე ზოგ ჭაბუკზედ სიცოცხლიანია. არაფერი არ არის განვითარებულ ადამიანში ისე მტკიცე, როგორც იდეალისაკენ მისწრაფება და იდეალი. არც ავადმყოფობას, არც მოხუცებულობას არ შეუძლიან შეარყიოს იდეალი, თუ ეს იდეალი შეჯეგია ადამიანის კარგის ბუნებისა და ცხოვრების კარგად ცოდნისა, რომელშიაც მაინც გამოსჩანს კარგი რამ თვისება, რა გინდ ცუდ გარემოებათა შორის იყოს იგი ზეზღუდული. იდეალი შეურყეველია, თუ ამასთანავე იგი დამყარებულია მეცნიერების რიგიანად ცოდნაზედ.

საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ ბ-ნ აკაკის რომ წარმოვიდგენ ხოლმე, მისი სურათი რაღაც არა-სასიამოვნო ბურუსით იმოსება. მშვენიერი და მეტად გამომეტყველი სახე პოეტისა, ფართო შუბლი, რომელიც საოცრად მოგვაგონებს ევროპის პოეტებს, სახე შემოსილი ხალხის წარმოდგენაში ღვთაებრივის შარავანდედით, თან და თან ჰკარგავს თავისს სიდიადეს... იგი არის განებივრებული შვილი ბუნებისა, უხვად დაჯილდოვებული მხოლოდ ნიჭით.

საერთოდ ეს მოსაზრებანი იმდენად საგულისხმოდ მიმაჩნია, რომ არ შემიძლიან ორიოდე სიტყვა არა ვთქვა ჩვენის მოღვაწეების შესახებ. უნდა აღვიარო, რომ საზოგადო საქმეში ჩარევა იმისთანა ადამიანებისა, როგორნიც არიან ბ-ნნი ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და სხ., უფრო მოფიქრებული და აშკარა უნდა იყოს. იმათს მოქმედებას არ უნდა დაეტყ ს უაზრო გადახვევა, მიდგომა და პირმოთნეობა, ამ მოქმედებას გულწრფელობა და უანგარობა უნდა უძღოდეს წინ და აღბეჭდილი იყოს საზოგადო საქმის ღრმა სიყვარულით რადგან ხილხი დიდის სასოებით უყურებს. ამ დიდად პატივცემულ მოღვაწეთა მაგალითი გადამდებია და ამ ნაირად ბევრნაირი ზარალი შეუძლიან მოუტანოს საზოგადოებას, თუ ეს მოქმედება სასურველ ნიადაგზედ არ იქნება დამყარებული. ვამბობთ ამას იმიტომ, რომ ისევ პირში თქმა სჯობს. დროა ჩვენმა მწერლობამ საფუძვლიანი და პირუთვნელი მსჯავრი დასდოს ჩვენის მოღვაწეების ყოველს მოქმედებას.

ე. ვაშაკიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კნეინას მ. ი. შერვაშიძისას—1 მ., თავ. ნ. დ. ჯავახიშვილს—50 კაპ.

### ქუთაისის სასოფლო სამეურნეო გამოფენის გამო.

ქუთაისის სამეურნეო გამოფენაზე სამი დღე დავდიოდით ენკენისთვის 23—26-მდის, და, ქალაქის მცხოვრებთა და სხვა და სხვა სკოლის მოწაფეების გარდა, სოფლის ხალხი არ შეგვხვედრია. საბოსტნე მცენარეულობიდგან, რაც შეიძლებოდა იმ დროისთვის, ყველა გამოფენილი კარგი ჯიშისა იყო, გარდა კართოფილისა; ჩემის აზრით, უმჯობესი იქნება, ქუთაისის გუბერნიაში გამრავლდეს ახალციხის გაქთქმული მრგვალი, ცოტა სქელ-კანიანი, კართოფილი, რომელსაც „ნემეცის“ კართოფილს უძახიან. რასაკვირველია, მისთვის საჭიროა მშრალი ნოყიერი მიწა, რომ კართოფილი ლეყეცი არ მოვიდეს. საბაღოსნო განყოფილებაში მსხალი და ვაშლი არ იყო კაი ჯიშისა. ახალციხის მსხალი და ვაშლი თითქმის მთელს რუსეთში განთქმულია; დასამყნობი შტოები საზღვარ გარეთაც გააქვთ, და რატომ ქუთაისის გუბერნიაში არ უნდა გავრცელდეს, მეტადრე საზამთრო განთქმული ვაშლები: შახალმა, ფაშა-ვაშლი, ყარაფილა ვაშლი, სიობა; მსხლებში—ნანაზირი, ბეგარმუდი, თავრეჟული და სხ. სამიწადმოქმედო გაუმჯობესებული იარაღი—სხვა და სხვა ნიადაგის შესაფერისი გუთნები, სალეწავი, საცეხვი, რომელნიც გამოფენილი იყო, რასაკვირველია, ძალიან სასარგებლო იქნება ხმარებაში შემოვიდეს მთლად საქართველოში. შორაპნის მაზრაში ახლად გავრცელებული ყოფილა სასარგებლო ფარვაზიანი სკები (ჩარჩოიანი), რომლებსაც ბ-ნი ტყის მოხელე ი. მაისუროვი ავრცელებს თურმე. მოსაწონი იყო თაფლის (ფიჭის) საწურავი და წმინდა სანთლის გასადნობი მანქანები, რომლებიც ძალიან საჭირონი არიან ჩვენის მეფუტკრეებისათვის. აბრეშუმის ქსოვილები, ხელ-საქმეები, შინა-მრეწველობა ჩინებული იყო. ჩვენი ყურადღება მიიპყრო აგრეთვე ბ-ნ ბეთანიშვილის ქარხნიდგან მოტანილმა ფეჩის მასალამ, რომელიც მარსელიდგან მოტანილს არ ჩამოუვარდება.

კარგი იყო ბ-ნ ფირალოვის ფაბრიკის თამბაქოები. საზოგადოდ, როგორც პირველი გამოფენა ქუთაისში, ურიგო არ იყო.

ი. ბარკალა—ი

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**დ. სამტრედია.** აქაურ პოლიციის ბოქაულის ბ-ნ მახარაძის თაოსნობით 18 ოქტომბერს კრება ჰქონდათ ადგილობრივ მცხოვრებლებსა და მოვაჭრეებს. კრებას უნდა გამოერკვია ღონისძიებანი, თუ როგორ უნდა აღდგინდეს სახელო სამკითხველო, რომელიც დიდი ხანია რაც გაუქმებული და მიტოვებულია. კრებამ დაადგინა: სამკითხველოს სასარგებლოდ იხადონ ადგილობრივ მოვაჭრეებმა ყოველ თვიურად თითო თუმანი. ამ ფულს უნდა მიემატოს ის რამოდენიმე თუმანი, რომელიც შეუგროვებიათ სამკითხველოს სასარგებლოდ ბ-ნს ი. ქართველიშვილს და ბ-ნს მ. ზარაკიას სამკითხველოს გაუქმებიდგან დღემდის. სამკითხველოსვე სასარგებლოდ ბ-ნ მახარაძის დახმარებით 24 ოქტომბერს გამართულ იქმნა წარმოდგენა, რომელშიაც უანგარო მონაწილეობის მიღებისთვის მადლობის ღირსნი არიან: დები სტურუები, გ. კანდელაკი, გ. გეთია, ფ. კანდელაკი, გ. თორონჯაძე და ე. ნინუა. წარმოდგენამ 42 მანეთი წმინდა შემოსავალი მისცა სამკითხველოს. ამავე საგნისათვის გამართულ იქმნება კიდევ მეორე წარმოდგენა ამ ახლო ხანებში. ვისაც სამკითხველოსთვის გული შესტკივა, იმედია, უყურადღებოდ არ დასტოვებს განზრახულს წარმოდგენას.

მეორე საგანი, რომლის გარდაწყვეტა აღელვებს აქაურ საზოგადოებას, შეადგენს ადგილობრივ სამინისტრო სკოლას. სკოლა დღემდის ნაქირავებს სახლებშია მოთავსებული და დიდ გაჭირვებაშია მასწავლებელ-მოსწავლებიანად სივიწროვისა და სინოტივეს გამო. აზრად აქვთ შეიძინონ სკოლისთვის საკუთარი ადგილი და შენობა. 31 ოქტომბერს ბ-ნ მახარაძის თაოსნობით შემდგარმა კრებამ უნაყოფოდ ჩაიარა, რადგანაც ვერ შეეთანხმნენ ერთმანეთს სამტრედიელები, კულაშელები და მელაურები. კულაშელები უსაყვედლოდ ადგილს დაჰპირდნენ სკოლას, მაგრამ მეორე კრებაზედ (3 ნოემბერს) ეს დანაპირები ტყუილი აღმოჩნდა. ადგილობრივმა მოვაჭრემ ბ-ნმა ს. სიხარულიძემ 200 მან. აღუთქვა სკოლას, მიუხედავად იმისა, შიგ სამტრედიაში დაარსდება იგი, თუ სხვაგან. სხვები კი სათითაოდ თავისკენ ეწევიან სკოლას. ბ-ნი მახარაძე შეეცადა, როგორმე თანხმობა ჩამოეგდო, რის შემდეგ კრებამ დაადგინა: შეჰკრიბოს 1300 მან. და შეიძინოს სკოლისთვის საჭირო სახლი და ადგილი ორპირის ქუჩაზედ. კრება სჩქარობდა, რომ იმავ დღეს (3 ნოემბერს) გათავებინა საქმე, რის გამოც დრო არ ჰქონდა გულდასმით ამოერჩია იმგვარი ადგილი, რომელიც მდებარეობითაც, ჰაერითაც, წყლითაც და სხვ. უფრო მოხერხებული იყოს სკოლისთვის. ორპირის ქუჩაზედ არჩეული ადგილი და სახლი ყოველთვის ჰღირს 1300 მანეთად, მაგრამ მაგარი ის არის, რომ იგი ვერ აკმაყოფილებს სასკოლო პირობებს. ამიტომ, ჯერ კიდრე არ დამტკიცებულა 3 ნოემბრის კრების დადგენილება, მოვაგონებთ აქაურ საზოგადოებას თავ. დ. გ—ძე მიქელაძის ადგილს, რომელიც თანასწორად მოხერხებულია სამტრედიისთვისაც, კულაშისთვისაც და მომეტებულად მოხერხებულია სკოლისთვის: მაღლობი ადგილი, წმინდა ჰაერი და გვერდით მდინარე. იმედიც გვაქვს, რომ თავ. დ. მიქელაძე თანაგრძნობას გაუწევს საზოგადო საქმეს და ღირებულზედ ნაკლებ დაუთმობს სკოლას ამ ადგილს.

ალექსანდრე მირიანოვი

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** 4 ნოემბერს, დეპუტატთა პალატაში შესამჩნევად გაიმარჯვა ვალდეკ-რუსოს სამინისტრომ. მთავრობის სასარგებლოდ მისცა ხმა 317 დეპუტატმა და წინააღმდეგ 212 მა, 34 დეპუტატს სრულებით არ მიუცია ხმა, რომელთა შორის იყვნენ—პალატის პრეზიდენტი დეშანელი, რიბო, ქალაქ კრეზოს მდიდარი მექარხნე შნეიდერი და სხ. მთავრობას დაუჭირეს მხარი რადიკალთა უმრავლესობამ, სოციალისტებმა და 88 ზომიერმა რესპუბლიკელმა (ეგრედ წოდებულმა პროგრესისტებმა), რომელთა შორის იყვნენ—ბარტუ, კოშერი, პუანკარე და დელომბრი. მთავრობის წინააღმდეგ მისცეს ხმა—შეერთებულებმა (მონარქიელები, რომელნიც რესპუბლიკას შეურიგდნენ), ნაციონალისტებმა, ანტისემიტებმა, 93 ზომიერმა რესპუბლიკელმა, რომელნიც არ ჩამოშორებიან მელინს, რვა რადიკალმა (იმათ რიცხვში კავენიაკმაც) და ექვსმა სოციალისტმა; 18 დეპუტატი არ დასწრებია კრებას. რესპუბლიკური გაზეთები სიხარულით აცხადებენ, რომ 4 ნოემბრის სხდომამ დიდად გაუთქვა სახელი მთავრობასაო. ამ უკანასკნელს თითონ არ ეგონა, თუ ამდენი მომხრე აღმოუჩნდებოდაო. ხსენებულ გაზეთების აზრით, ეხლა სრულებით დამარცხდა მელინის პოლიტიკა, რომელსაც ნაციონალისტებმა და მონარქიელებმა მისცეს მხარი. კონსერვატიული გაზეთები კი თავიანთ მხრივ აცხადებენ, რომ მთავრობას პალატა მომხრეობს და არა ქვეყანაო. იმან იმიტომ გაიმარჯვა პალატაში ამ ჟამადაო,—განაგრძობენ მონარქიული გაზეთები,—რომ სანამ უზენაესი სასამართლო როიალისტთა საქმეს არ მორჩება, არავის აქვს სურვილი ვალდეკ-რუსოს ადგილი დაიჭიროსო.

— მინისტრ-პრეზიდენტს ვალდეკ-რუსოს ამ დღეებში მოლაპარაკება ჰქონდა სენატის იმ კომისიასთან, რომელსაც ეკუთვნის დამნაშავეთა სასჯელის მიტევების საქმე. ვალდეკ-რუსოს აზრი გამოუთქვამს, რომ დანაშაული უნდა მიეტევოს ყველას, ვისაც დრეიფუსის საქმესთან რამე კავშირი აქვთო, სახელდობრ—ზოლას, ანრის და პიკარსო. ერთს სენატორს წინადადება წარუდგენია, რომ ამნისტია გავრცელდეს შეთქმულობისათვის პასუხის გებაში მიცემულ ბრალდებულებზედაო, მაგრამ ვალდეკ-რუსოს უპასუხნია, რომ ეს მოუხერხებელია ამ ჟამადაო.

— 5 ნოემბერს უზენაესმა სასამართლომ ჩვენება ჩამოართვა ბრალდებულ როიალისტთ: გოდფრუას, სობრანპონტეგეს, ბურმანს და დერამელს. როგორც მათი ამხანაგები, რომელთაც წინად ჩამოართვა სასამართლომ ჩვენება, ესენიც იმას ამბობდნენ, რომ არავითარი შეთქმულობა არა გვქონია აზრად და არც არავითარი კავშირი გვქონია პატრიოტთა და ანტისემიტთა ლიგებთანაო; როიალისტთა მონაწილეობა რამდენსამე მანიფესტაციაში იმისაგან იყო გამოწვეული, რათა მხედრობის სახელი და პატივი დაგვეცვაო. თუ როიალისტთა ახალგაზდების ლიგის რამდენიმე წევრი პატრიოტთა ლიგაში ირიცხებოდა, ეს იმიტომ, რომ ორივე ლიგას ერთი და იგივე საგანი ამოძრავებდა—გულმხურვალე სიყვარული მხედრობისადმიო.

### დამავიწყდა

თუ თავი თავისი არ დაგიდვია მეგობრობაზე, მაშ რად იქმ ცრუ მეგობრობას?

კამბიზ

* * *

დიდისა საქმის უცოდნი სჯერდება საქმეს მომცროსა.

მეფე არჩილ II

* * *

თუ გსურს აზრმან შენმან იმუშაოს და ჯეროვანი შთაბეჭდილება იქონიოს მსმენელებზე, ეცადე გამოსთქვა იგი მკაფიოდ, წვრიმალობის შემოუღებლად.

ლასურიძე.

### ჟურნალ-გაზეთებიდგან.

(ამოკრებილი ამბები)

ამ ომის დროს ინგლისს სამხრეთ აფრიკაში ისე არაფერი არ აწუხებს, როგორც უცხენობა. ბევრი ცხენი დაეხოცა ინგლისს თვით ომში, ხოლო ამაზედ მეტი კიდევ ზღვაში, გემებზედ, გაგზავნის დროს. ლორდმა დიუფფერინმა დეპეშა მიიღო თავისს შვილისაგან, რომელიც ბომბეიდგან რაზმით და ცხენებით აფრიკაში საომრად გაემართა. ეს აფიცერი სწერს მამას, რომ ყოველ დღე ღელვის დროს გემზედ ასობით იხოცება ჩვენი ცხენებიო. ცხენებისთვის გემზედ პატარა საჯინიბეა გამართული; როდესაც ღელვა ატყდება და ტალღები გემს იქით-აქეთ დაუწყებს ხოლმე ქანაობას, ამ საჯინიბეში ცხენები ერთმანეთს ისე ძლიერად აწყდებიან, რომ ბევრი იხოცება კიდეც. დურბანის მახლობლად ზღვაში, მაგალითად, ღელვისაგან 90 ცხენი დაგვეხოცა, სულ-კი ჩვენ რაზმს 150 ცხენი ჰყვანდა.

* * *

ფრანგული გაზეთები შემდეგს ანეგდოტს მოგვითხრობენ ბურების შესახებ. ომის დაწყებამდე ამაყი ინგლისელი ერთ ბურს ესაუბრებოდა. ინგლისელი უმტკიცებდა, რომ ინგლისისთანა ძლიერი და დიდი სახელმწიფო მთელ დედამიწის ზურგზედ არ მოიპოვებაო. რათა ნათლად დაენახვებინა გაუნათლებელ ბურისათვის თუ რამდენად უზარმაზარი და დიდი სახელმწიფოა ინგლისი და რამდენ მიწა-ადგილის პატრონია, ინგლისელმა უთხრა, რომ ინგლისის იმპერიაში მზე არასოდეს არ ჩადისო. ბურმა წყნარად თვალი აავლ-ჩამოავლო ინგლისელს, ყალიონი პირიდგან გამოიღო და დანანების კილოთი მიუგო: „თუ მართლა თქვენ სახელმწიფოში მზე არასოდეს არ ჩადის, ეტყობა ღმერთიც არ გენდობათ და გაფაციცებით გადევნებთ თვალ-ყურს. უთუოდ ეშინიან ბნელაში დაგტოვოთ, რომ ცუდი რამ საქმე არ ჩაიდინოთო“.

* * *

შემდეგს ამბავს მოგვითხრობს ერთის რუსულის გაზეთის ლონდონელი კორესპონდენტი, რომელიც ლონდონში დიდს მიტინგს დასწრებია: „როდესაც მიტინგი დასრულდა, ერთის მხრიდგან რაღაც ხმაურობა და ყვირილი მოისმა. აუარებელი ხალხი სიცილითა და ხარხარით ვიღაც კაცს მისდევდა. ვიფიქრე, უთუოდ ჯიბგირი დაუჭერიათ მეთქი და გავემართე იქით, საიდგანაც ყვირილი მოისმოდა, მაგრამ, წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როდესაც ჯიბგირის ნაცვლად ჩემი თანამემამულე, კავკასიელი დავინახე, ვინმე ალავერდოვი, როგორც შემდეგ შევიტყე. ამ ალავერდოვს, უთუოდ უფიქრია, რომ ინგლისელ ქალებს მოვხიბლავო, ჩაუცვავს გძელი ჩოხა ბუზმენტებითა და სხვა რაღაცეებით აჭრელებული, შემოურტყავს ვერცხლის ქამარი და ჩამოუკიდნია იმდენი იარაღი, რაც საომრად გამზადებულ ერთ რაზმს ეყოფა. აი სწორედ ასეთ ტანისამოსში გამოწყობილ კავკასიელს მოუსურვებია ჰაიდ-პარკში სეირნობა. ბავშვებს, დაუნახავთ თუ არა, მაშინვე სასაცილოდ აუგდიათ და კივილით უკან დასდევნებიან. მალე ბავშვებს დიდებმა მიჰბაძეს, მით უმეტეს, რომ არავინ იცოდა, რა რჯულის და ხელობის კაცია ამ გვარ ტანისამოსში გამოწყობილი. ზოგი ამბობდა—ჯიბგირიაო, ზოგი—საფრანგეთის ჯარის გენერალია, აქ საზვერად მოსული, ზოგი—კლოუნია, აქ ჰაიდ-პარკში წარმოდგენის გამართვას აპირებსო და ზოგი კიდევ რას! ვიღაცამ ისიც-კი დაიძახა, რომ ესტერგაზიაო. —ბრბო უკან დაედევნა ალავერდოვს, რომელიც დამფრთხალ კურდღელსავით დარბოდა და აღარ იცოდა რა ექმნა. ბოლოს, როგორც იქმნა, პოლიციამ გაჭირვებიდგან გამოიყვანა კავკასიელი, ცნობის მოყვარე ბრბოს მოაშორა და უშიშარ ადგილს წაიყვანა. იმედია, ბ-ნი ალავერდოვი ამის შემდეგ მაინც ჰკვას მოვა და კავკასიურის ტანისამოსით ლონდონის ქუჩების მყუდროებას არ დაარღვევს“.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 ნოემბერი

**დურბანი.** „რეიტერის სააგენტო“. „Natal Times“-ი იუწყება, რომ წარსულ ორშაბათის ღამეს ფუაიტმა იერიში მიიტანა, რამდენიმე სიმაგრე ბურებისა დაიჭირა და ბევრი ზარბაზანი და სამხედრო მასალა წაართვა ბურებსაო.

**ლონდონი.** სამხედრო სამინისტრომ გამოაქვეყნა ახალი დეპეშა გენერალ ვოლკეროსი, რომელიც იუწყება, რომ 11 (23) ნოემბერს გამოიკვლია გზა კოლესბერგისაკენ. რაკი ჰნახა, რომ არუნგელი მტერს ჰქონდა დაჭერილი, ფრენცმა უკან დაიწია და ამ დროს სამი კაცი დაუჭრეს. შემდეგ ნაუწყებია, რომ ბურები ნატალიდგან ბალუმფონტეირისაკენ მიდიანო.

**ბაქო.** რეშტიდგან მოსულ ცნობებიდგანა სჩანს, რომ 4 ნოებერს დღე-ღამის განმავლობაში გაუუქმებიათ 1,000 დუქანი, 12 ქარვასლა, 10 ბაკი, 2 ბანკი და 3 მეჩეთი. ზარალი სამ მილიონ მანეთამდეა.

**ლონდონი.** „Times“-ის კორესპონდენტი იუწყება ლორენცო-მარკეზედგან 10 ნოემბერს, რომ დიდხანს ვემუსაიფე ტრანსვაალის უზენაესს მოსამართლეს გრეგოროვსკისა და ფოლკსრაადას წევრს დეპერინკსაო. ორივენი იმედ-გაცრუებულნი მეჩვენნენ იმის გამო, რომ არც ერთმა უცხო-ქვეყნის სახელმწიფომ დახმარება არ აღმოუჩინა ბურებს, და თანახმანი იყვნენ იმისი, რომ სიმრავლე ინგლისელებისა და ამ მხრივ ამათი მჯობინარობა ბოლოს და ბოლოს თავისას გაიტანსო. მათ სთქვეს, იმედი გვაქვს, რომ ბურების მიერ გამოჩენილი ვაჟკაცობა აღიარებულ იქმნებაო, და აღნიშნეს ის გარემოება, რომ ტყვედ წაყვანილ ინგლისელებს კარგად ვეპყრობოდითო. კორესპოდენტი იმ აზრისაა, რომ გრეგოროვსკი და დეპერინკი თანაუგრძნობენ საშვიდობიანო მოლაპარაკებასაო.

**პარიჟი.** მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა, რომ არჩევნები სენატის ერთ მესამედ ახალ წევრთა ამოსარჩევად მომავალ წლის 16 იანვარს იყოსო.

### ანგარიში

#### ქუთაისის უფასო საქალებო სკოლის შენობის აგებისა.

21 ოქტომბერს, მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის ტახტზედ ასვლის დღეს, ქუთაისში მოხდა დედათა უსასყიდლო სკოლის ახალის შენობის კურთხევა. აი ამ სკოლის მოკლე ისტორია.

სკოლა დაარსდა 1866 წ. მეთაური ამ საქმისა იყო მათი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავრინა ოლგა თეოდორეს ასული. დაარსების დღიდგან ვიდრე 1867 წ. სკოლა იმყოფებოდა დაქირავებულ შენობაში; ამ დროიდგან 1871 წლამდე იმას დაუთმეს უფასოდ წმ. ნინოს სასწავლებლის ერთი თავისუფალი მიშენებული, ხოლო 1871 წელში დამთავრდა სკოლისათვის საკუთარი შენობა, რომელიც თავისი ხარჯით ააგო ქუთაისის მცხოვრებმა ბეკ-ოღლიმ, სკოლის საშუალებიდგან მცირედის შემწეობით, წმ. ნინოს საქალებო სასწავლებლის მიწაზედ, რომელიც დროებით უსასყიდლოდ დაეთმო სკოლას.

რამდენისამე ხნის შემდეგ წმ. ნინოს სასწავლებლისათვის საჭირო შეიქმნა შენობის

გადიდება, ამისთვის წმ. ნინოს საქველ-მოქმედო საზოგადოების საბჭომ 1897 წელში, განიხილა-რა სკოლის შენობის შესყიდვის საქმე, ნება დართო ქუთაისის გამგეობას შეეძინა ის შენობა 9371 მანეთად, იმ ფასად, როგორც დაფასებული იყო ტეხნიკოსთა კომისიის მიერ. ამ დროს სკოლის თავნი ფული შეადგენდა 25,000 მან., რამაც მისცა სკოლას ხელ-ახლად მოწყობის შეძლება.

ქუთაისის გუბერნიის საერო სასწავლებლის დირექტორმა მისცა წინადადება სკოლის უფროსს მოეძებნა შესაფერისი ადგილი სკოლისათვის და აღეშენებინა შენობა. მიწის სყიდვის შემდეგ ბ-ნ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა დაამტკიცა კომისია, რომელიც შესდგებოდა თავმჯდომარის, საერო სასწავლებლების დირექტორად ნამყოფის, ფ. ზ. ლევიცკისაგან და წევრების—ინჟინერ პოლკოვნიკის, ვ. ვ. კუნის, სკოლის უფროსის მ. ი. ტიმჩენკო—რუბანისა, სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორის ვ. ე. ვორობიევისა, ქალაქის გამგეობის წევრის ი. გ. ჩიმაკაძისა და სამოქალაქო სკოლის ზედამხედველის ვ. ი. პეტრიაშვილისაგან. თავმჯდომარის მოადგილედ დანიშნულ იქმნა საერო სასწავლებლის ინსპექტორი პ. ი. სავიჩი.

1898 წლის 22 მარტს აკურთხეს შენობის საფუძველი, ხოლო მიმდინარე წლის 1 ენკენისთვეს სრულად დამთავრებულ იქმნა შენობა.

ახალი მორთვა-მოწყობა უღირს სკოლას 25,392 მ. 81 კ., რომელთაგან: 1) მიწა (875 კვ. საჟ.) ნატარიუსის და სხვა წვრილმანი ხარჯით დაუჯდა 3,030 მ. 95 კ.,*) 2) გერბის ქაღალდი მოიჯარადრესთან პირობის შესაკრავად—63 მან.; 3) ქვითკირის ზღუდე მთელის ეზოს გარშემო, 134 საჟ. სიგრძეზედ რკინის მოაჯირით და რკინისავე კარებით ქუჩის მხრივ—2,470 მან.; 4) ორსართულიანი ქვითკირის შენობა, სიმაღლით ხუთი საჟენი, რომელსაც უჭირავს სივრცე 80 ოთხ-კუთხი საჟ., წმინდად თლილის ეკლარის ქვის წინაპირით, ორის ქვის კიბით, სარდაფით, ფარდულით, სამრეცხველო ოთახით, დახურული თუნუქის სახურავით, ორის ცემენტის ბანით, თითოეული 16 ოთხ-კუთხი საჟ. ცემენტისავე ფენილით შენობის გარშემო 22 ოთხ-კუთხი საჟ., ქვაფენილის გზით და ეზოს მოკენჭვით—19,828 მან. 86 კაპ.

ზემო აღნიშნული ხარჯი დაიფარა შემდეგის შემოსავლით:

1) წმ. ნინოს სასწავლებლის მიერ შესყიდულის შენობის ფასად შემოვიდა 9,371 მან. 2) ბ-ნ სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან 1,050 მან., 3) შემოწირულებისაგან და გამართულის საღამოებისა და სეირნობაებისა 3,109 მან. სულ 13,530 მან.

დანარჩენი 11,862 მან. 81 კაპ. სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნება-რთვით სკოლის თავნს (25,000 მან.) მოაკლდა, რომელიც იმისდა მიუხედავად, რომ შემცირდა, მაინც ოლქის მზრუნველისავე წყალობითა და შუამდგომლობით საერო განათლების მინისტრმა, გარდა იმ 500 მან., რომელიც სკოლას მისგან ეძლეოდა 1898 წ. 1 იანვრიდგან, კიდევ დაუნიშნა 500 მან. ამა 1899 წ. 1 ივლისიდგან, რომელი ფულიც უკლისად აღადგენს თავნიდგან დახარჯულის თანხის სარგებელს.

უხვადვე შეეწივნენ სკოლას და შემოსწირეს მათმა ბრწყინვალებამ თავადმა მთავარმართებელმა 500 მან., გრაფინია ა. კ. ზარნეკაუმ 100 მან., პრინცესსა მიურატმა და ე. კ. აკიმოვისამ ხუთ-ხუთი თუმანი, უგანათლებულესმა თავადმა გ. ლ. დადიანმა 35 მან. და ოცოც და ხუთი მანეთი: ე. ბ. შერემეტიევისამ, ა. ვ. გურჩინმა, თავადებმა ს. და დ. კ. ნიჟარაძეებმა და ე. გ. აგაჯანოვისამ. როგორც ამათი, ისე სხვათა წვრილმან შემომწირველთა სია თავის დროზე იყო გამოცხადებული გაზეთებში.

*) გადაწყვეტილი ფასი მიწისა იყო 3,500 მ., მაგრამ მიწის პატრონმა ა. ვ. მურალოვმა, დაათვალიერა რა სკოლა და დარწმუნდა მის სარგებლობას, 3000 მან. დაუთმო, 500 მ. კი შესწირა. ეს ამბავი მაშინვე მოხსენდა ბ-ნს საერო სასწავლებლის დირექტორს.

ფულით შემწეობის გარდა სკოლამ მიიღო მათის იმპერატორებითის უმაღლესობათა დიდთა მთავართა მიხეილ ნიკოლოზისა და ალექსანდრე მიხეილის ძეთაგან ბაღისათვის მცენარეები, ღირებული 400 მან., მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ სექართველოს ეგზარხოსმა ფლაბიანემ უძღვნა სკოლას საკლასო ოთახების რიცხვისამებრ ექვსი ხატი, კავკასიის აქეთამხრის რკინის გზისაგან—60 რელსი და 30 რელსიც ი. ს. ანანოვის მემკვიდრეებისაგან; ფირმხბისა და ვაჭრების უმეტესობა უთმობდა სკოლას ასაშენებელ მასალას იაფ ფასად.

(დასასრული იქმნება)

## „ივერიის“ ფოსტა

**სადგ. ძ—ლი. მ. უ—შვილს.** ეგ ლექსი თითონ იმ ქალს მიართვით, ვის შესახებაც სწერთ. იქნება ესიამოვნოს. სხვებისათვის-კი არაფრად სანუკბარია.

**მნახველს.** არ დაიბეჭდება.

**ქ. ხ—ი. უტუს.** არ დაიბეჭდება.

**გ. ა—ძეს.** მაგ ფერშლების საქციელი ქუთაისის საგუბერნიო მმართველობის სამკურნალო განყოფილებას შეატყობინეთ.

**ს. ნა—რი. ო—ნს.** არ დაიბეჭდება.

**გ. ძერშულს.** „წარსულიდგან“ არ დაიბეჭდება.

**გიგას.** გეტყობათ, ჯერ ნორჩი ხართ ლექსების წერისათვის.

**დ. ლ—თი. მასწ. დ. ერძ—შვილს.** გამოგვიგზავნეთ თარგმანი დედანითურთ და ვნახოთ...

**რ. ტეხურისპირელს.** თუ ქმარი უდიერად და სასტიკად ეკიდება ცოლს, საჩივარი თვით ცოლმა უნდა აღძრას სასამართლოს წინაშე. გაზეთი ამ საქმეს ვერას უშველის.

**ლ. გუ.ელს.** არ დაიბეჭდება.

**ალ. მანთხოჯელს.** არ დაიბეჭდება.

**დ. სამ—ია. არტ. ა—ძეს.** თქვენი წერილები არ დაიბეჭდება.

**ა—ძეს.** ლექსი არ დაიბეჭდება.

**სადგ. მ—ვი. ნ. ქ. ჩ—ვანს.** თქვენი სამდურავი ვაცნობეთ ბ-ნს გ—ას და იმედია, ამიერიდგან თქვენ მიერ დაკვეთილი დროზედ მოგივათ.

**ქ. ო—თი, სან—ს.** არ დაიბეჭდება.

**სოფ. ხ—რი. ვ. ფ—ძეს.** თქვენი „დაგვიანებული პასუხი“ მეტად დაგვიანებულია და ამასთან არც საყურადღებოა მკითხველებისათვის.

**თ—თი. ლ. ც—შვილს.** „ჩიტი ბდღვნად არა ჰღირდა, უკან დევნა მეტი იყოო“. არ დაიბეჭდება,

**სოფ. ლახამულა მიხ კვ—ძეს.** გაზეთი გეგზავნებოდათ პირველ ოქტომბრიდგან და ეხლაც გეგზავნებათ. თუ თქვენამდე არ მოდის, ეგ. ჩვენი-კი არა, მომტანის ბრალია. ადგილობრივ საფოსტო განყოფილებას მიჰმართეთ და თუ არ მოდის, მოწმობა წარმოგვიდგინეთ. მაშინ პასუხს აქაურს ფოსტას მოვთხოვთ. რაც შეეხება თქვენის წერილის კილოს, კარგი იქმნება, რომ მასწავლებლობასთან ზრდილობასაც ისწავლიდეთ.

# განცხადებანი


**ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს** საყოველთაოდ, რომ **28 მარტს 1900 წელს მოხდება საჯარო ვაჭრობა**—სიტყვიერად და დაბეჭდილ კონვერტებით,—ქალაქის (აბესალომისებურის) **ორ-სართულიან აგარაკის გასასყიდად** ეზოთი და მიწით, ზომით 203 ოთხ-კ. საჟენი. აგარაკი ბორჯომშია, ვორონცოვის ქუჩაზედ, პარკის მახლობლად. აგარაკთან ერთად იყიდება ყოველივე მოძრავი ქონება, რაც იქ არის: ავეჯეულობა, სამზარეულო, საჩაიე და სხვა ნივთები. მიწა აგარაკს დათმობილი აქვს კავკასიის ნამესტნიკად ნამყოფის მიერ 22 დეკემბერს 1851 წელს დამტკიცებულ ბორჯომში აგარაკისთვის მიწით სარგებლობის შესახების წესების თანახმად.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან პირობები გამგეობის კანცელარიაში გასინჯოს ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 10-დგან 2 საათამდე.

დაბეჭდილი კონვერტები მიიღება 1900 წლის 28 მარტამდე შუადღის 12 საათამდე; კონვერტში უნდა იყოს: გირაო 2000 მანეთი, სრული სახელი, გვარი, მამის სახელი და ადრესი იმისი, ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს და უმაღლესი ფასი, რომლის გადახდასაც ისა ჰკისრულობს. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების იმ მსურველთ, ვინც ქალაქის გარეთ სცხოვრობენ, მოთხოვნილებისამებრ შეიძლება პირობები გაეგზავნოს გასაცნობად.

(5—ნ.—1)

გამოვიდა ახალი წიგნი **მ. ჯანაშვილისა**

**„Грузинскія обители внѣ Грузіи“.** ფ. 25 კ.

და მისივე **ИСТОРІЯ Груз. церкви.** ფასი 40 კ.

ისყიდება წ. კ. ს. მაღაზ-აში.

(7—უ.—2)

დაიბეჭდა და ისყიდება

გამომცემლის გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში მესამე გამოცემა ბ. ა. **ნატროშვილის**

**არითმეტიკის კრებულისა.**

ეს წიგნი მოწონებული და მიღებულია სამოსწავლო მთავრობათაგან სახელმძღვანელოდ ყველა საქართველოს სასულიერო და საერო პირველ დაწყებითს სკოლებისათვის. ფასი წიგნისა 35 კ.

3—175—2)

აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მააბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა ისყიდება **ქუთაისში**—წერეთლის წიგნის მაღაზიაში; **ყვირილაში**—ილია მაღლაკელიძის მაღაზიაში; **ბათუმში**—მაქსიმე კიკვაძის მაღაზიაში (სასტუმრო „საფრანგეთის“ პირდაპირ); **სამტრედიაში**—ქალთა დანელიების სამკერვალოში და **სოფ. კუხში**—თითონ ამხანაგობის ქსოვილების სახელოსნოში.

(50—ნ.—42) ნ. წერეთელი

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




**ახალი საშუალება**

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

**„კვერცხის რძე“**

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარ კანს, სპობს მუწუკებს, აპრილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდომია:** დიდი ქილა —2 მან., პატარა —1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—150—39)

# ბ ა ლ ა ნ ს ი

სამეურნეო ბანკისა

1 ნოემბრისათვის 1899 წლისა.

**ა ქ ტ ი ვ ი.**

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. კასსა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები) . . | | 9703 | 41 |
| II. მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში . . . . . . . . . . . . . | | 1750 | — |
| III. „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში . . . . . . . . | | 13110 | — |
| IV. სარგებლიანი ქაღ., საზოგადოების საკუთვნონი. | | 4602 | 95 |
| V. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი . . . . . . . . | | 3021 | 63 |
| VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს. უწერია ხელი . . . . . . . . . . . . . | | 234977 | — |
| VII. განაღდ. სარგებლიან ქაღალდ., კუპონებ. და სხ. | | 736 | 57 |
| VIII. პროტესტში წასული თამასუქები . . . . | | 375 | — |
| IX. გირაოთი გაცემული სესხი: | | | |
| ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. . . . . | 7326—32 | | |
| ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ. | 15979—20 | | |
| გ) საქონელზედ . . . . . | 30009—50 | | |
| დ) სასოფლო სამეურნეო ნაწარმ. | 2964— | 56279 | 02 |
| X. დასაბრუნებელი ხარჯი . . . . . . . | | 172 | 12 |
| XI. მოწყობა-მომართვა . . . . . . . . | | 1778 | 47 |
| XII. კორესპონდენტები მათის ანგარიშით (loro) . . | | 1442 | 49 |
| XIII. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი . | | 220 | 16 |
| XIV. სხვა-და-სხვა დებიტორები . . . . . . . | | 290 | 29 |
| XV. გარდასაცემი თანხა . . . . . . . . | | 647 | 21 |
| XVI. მიმდინარე ხარჯი . . . . . . . . . . | | 9438 | 96 |
| ს უ ლ | | 338545 | 28 |

**პ ა ს ს ი ვ ი.**

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 758 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულიდგან. . . . . . . . . . . . . | | 79876 | — |
| II. სათადარიგო თანხა (შემდგარია 1898 წელს). | | 3141 | 16 |
| III. სარგებელი სათადარიგო თანხის კუთვნილ. ფასიან ქაღალდებისა . . . . . . . . . . . | | 73 | 16 |
| IV. შემოტანილი ფული: | | | |
| ა) მიმდინარე ანგარიშით . . . | 80292—34 | | |
| ბ) ვადით . . . . . . . . | 154492—— | 234784 | 34 |
| გ) უვადოდ . . . . . . . . . | , —— | | |
| V. გარდასაცემი თანხა . . . . . . . . . . | | 2371 | 23 |
| VI. გარდასახდელი სარგებელი . . . . . . . | | 391 | 38 |
| VII. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა . . . . . . . . . . . . . | | 54 | 73 |
| VIII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ-მოთხოვნილი საზოგადოების წესდების მე-12 და 13 §§-ის თანახმად . . . . . . . . . . . . . . | | 300 | — |
| IX. მიღებული სარგებელი. . . . . . . . . . | | 15776 | 80 |
| X. 1898 წ. წაუღებელი დივიდენდი . . . . . | | 1735 | 77 |
| XI. 1898 წლის წმინდა მოგების გაუნაწილებელი ნაშთი. | | 40 | 71 |
| ს უ ლ | | 338545 | 28 |
| პასუხის-მგებლობა 758 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდა . . . . . . . . . | | 718884 | — |
| საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება . . . . . . . . . . . . . . | | 5900 | — |
| თამასუქები საკომისიოდ . . . . . . . . . | | 1018 | 40 |

(1—ნ.—1)